ოთხშაბათი, 9 იანვარი 1908 წ.

ცისარი

წელიწადი მეორე — № 7

10 იანვრიდან

10 იანვრიდან 10 თებერვლამდე

იაფობა

დღემდე უნახავი — **დღემდე უნახავი**

ყველა საქონლის ნაშენელ ფასში დაკლებულია 20% -დან 60% -მდე.

იობობა მოხდება შემდეგ დღეებში

10, 11, 12, 14, 15, 16, 17, 18, 19, 21, 22, 23, 24, 25, 26, 28, 29, 30 და 31 იანვარს და 1, 2, 4, 5, 6, 7, 8 და 9 თებერვარს.

ეფროსინე გიორგის ასულ აბაშიძისას.

(2—559—2)

ძმ. ნაპიტნეგ.ს ცირკი.

(2—562—1)

თამბაქოს ქარხანა

„ARMAS"

1908 წლის

დროების კალენდარი

ფასი 35 კაპ.

(40—415—36)

ეფროსინე გიორგის ასულ აბაშიძისას.

(2—559—2)

ძმ. ნაპიტნეგ.ს ცირკი.

(2—562—1)

ARMAS

(40—415—36)

1908 წლის

დროების კალენდარი

ფასი 35 კაპ.

(40—415—36)

შლის ჩვენ მათთან ერთად შევისწავლოთ და გამოვიკვლიოთ, მაგალითად, რა მდგომარეობაშია დღეს საერთოდ განათლების საქმე ქართველ ხალხში.

რაც მაგალითისთვის სახალხო განათლების შესახებ ვთქვით, იგივე შეიძლება ითქვას ტერიტორიის შესახებაც. მიუხედავად მრავალ თვალსაჩინო განსხვავებისა, როგორც ნაციონალისტებისაგან, აგრეთვე სოციალ-დემოკრატებისაგან, ჩვენ მაინც შესაძლოდ და თან აუცილებელ საჭიროებადაც მიგვაჩნია საერთო მუშაობა ორთავე მიმართულებასთან ისეთ საყოველთაოდ ცნობილ ღირებულებათა განხორციელების ასპარეზზე, როგორც სახალხო განათლება ან ტერიტორიის ეროვნულ მთლიანობის დაცვაა.

ახალი ამბავი

✦ **რედაქტორის დაჯარიმება.** ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, ჩვენი გაზეთის რედაქტორი ასი თუმნით დააჯარიმეს. თუ ამ ჯარიმას არ გადაიხდის, სამი თვით უნდა ჩასვან საპყრობილეში.

✦ **რედაქტორის საქმე.** გუშინ წინ, 7 იანვარს, ტფ. სამოსამართლო პალატაში ხელ-მეორედ გაირჩა საქმე გაზეთ „მეგობრის“ რედაქტორ-გამომცემლის გრიგოლ რცხილაძისა. მკითხველებს ეხსომებათ ეს საქმე. „მეგობარ“-ში დაიბეჭდა ს.-რევოლიუციონერთა პარტიის მოწოდება დეპუტატთა არჩევნების შესახებ. ამ მოწოდების შესახებ რედაქტორი სამართალში მისცეს. პირველად ეს საქმე პალატაში ამ რამდენიმე თვის წინად გაირჩა. მაშინ რცხილაძე გაამართლეს, მაგრამ პროკურორმა საქმე განასაჩივრა სენატში. სენატი დაეთანხმა პროკურორის მოსაზრებებს და ხელ-ახლა დანიშნა საქმის გარჩევა. გუშინ წინ რცხილაძეს იცავდა ნაფიცი ვექილი იოსებ ბარათაშვილი. კამათმა პროკურორსა ერთის მხრით და რცხილაძესა და ბარათაშვილს შორის მეორეს მხრით თითქმის სამ საათს გასტანა. ბოლოს საღამოს ექვს საათზე სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი. გრ. რცხილაძეს გადაუწყვიტეს 100 მანეთი ჯარიმა.

✦ **ზინგერის განყოფილების დაკეტვა.** საკერავ მაშინების ზინგერის ფირმის ტფილისის განყოფილებამ სისრულეში მოიყვანა თავისი მუქარა: ფირმის გამგემ დაკეტა მაღაზიის ყველა განყოფილება და მუშებიც დაითხოვა.

✦ **გაზეთის შეჩერება.** სალსარის უქონლობის გამო დროებით შეჩერდა პროფესიონალურ კავშირების ყოველკვირეული გაზეთი „ახალი ქვეყანა“.

✦ **უმაღლეს კურსებზე.** დღეს, საღამოს 6 საათზე, ი. აბულაძე წაიკითხავს ლექციას ქართულ ენიდან შემდეგ თემაზე: „სიტყვათა წარმოება: ძირი და საფუძველი, როგორ გამოიცნობა ნამდვილი ქართული სიტყვები. ნასესხები სიტყვები“. მოწაფეები 20 კაპ. მაგიერ იხდიან 10 კაპ.

✦ **შტაბის უფროსის წასვლა.** კავკასიის სამხედრო შტაბის უფროსი გენერალი შატილოვი საჩქაროდ პეტერბურგს გაიწვიეს.

✦ **ბირჟა.** გუშინ, 8 იანვარს, დილის 11 საათზე, ბირჟის კომიტეტმა ტფ. საკრედიტო საზოგადოების სახლში, ახალს ბინაზე, გახსნა ბირჟა. სხვა და სხვა დაწესებულების წარმომადგენლებისა და ვაჭრების დასწრებით გადახდილ იქმნა პარაკლისი. აკურთხეს ახალი სადგომი. სიტყვა წარმოსთქვეს: ქალაქის თავმა თავ. ვ. ჩერქეზიშვილმა, ქ. ვერმიშევმა, გამგეობის წევრმა ა. ი. ხატისოვმა და სხვებმა. ბირჟის გახსნას დაესწრნენ გუბერნატორი, გამგეობის წევრნი, ზოგი ხმოსნები, პოლიცმეისტერი და ვაჭრები.

✦ **ლექციები.** 7 იანვარს ტფ. პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკის სადგომში პროფ. ალ. ხახანაშვილმა წაიკითხა ქართულად ლექცია „შოთა რუსთაველის“ შესახებ. ლექციას ბევრი ხალხი დაესწრო. შემოსავალი გადაიდო ყაზბეგის ქალთა სკოლის სასარგებლოდ. ამავე საღამოს ბ-ნ ხახანაშვილმა რუსულად წაიკითხა მეორე ლექცია ქართულ სახალხო პოეზიის შესახებ. ამ ლექციასაც ბლომად დაესწრო ხალხი. ბ-ნი ხახანაშვილი უკვე დაბრუნდა მოსკოვს.

✦ **მოედნები ბავშვების გასართობად.** კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს რუდოლფს განუზრახავს ტფილისის სხვა და სხვა უბნებში გამართოს და მოაწყოს მოედნები საზოგადო სათამაშოებისა, გიმნასტიკისა და სხვა ამგვარ ვარჯიშობისათვის. ამ მოედნებზე კვირა-უქმეებში მოსწავლეებს გამოიყვანენ გიმნასტიურ თამაშობისათვის. მზრუნველმა ეს თავის განზრახვა გუშინ აცნობა ქალაქის ჰოლოვას და სთხოვა, დათმოს ქალაქმა სამოსწავლო უწყებას მოხერხებული ადგილები.

✦ **მამასახლისის დაჭერა.** როგორც გვატყობინებენ, კახეთში ხუთ იანვარს საღამოთი უცნობებს მოუკლავთ დაუჭრიათ ურია ?-უბნის მამასახლისი ჩოლოყაშვილი.

✦ **მეეზოვის მოკვლა.** 7 იანვარს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ, ფოლავანდოვის ქუჩაზე მეეზოვე გავორქ კარაპეტოვი და იმისი ძმა გაბო ... დაბრუნებულან. ფოსტის ქუჩაზე მათ თავს დაეცა ოთხი შეიარაღებული კაცი. უცნობებმა რევოლვერით მოჰკლეს მეეზოვე კარაპეტოვი.

✦ სოფელ თონეთში ყვავილი გაჩენილა.

✦ 7 იანვარს, ნაშუადღევის $4^1/_2$ საათზედ, ტფ. მეორე გილდიის ვაჭარს ნიკოლოზ ნარიმანოვს სომხის ბაზარში შეუვარდა ორი შეიარაღებული უცნობი. უცნობებმა მოსამსახურეს ეკატერინე პაპერიძეს მოსთხოვეს, გვიჩვენე კასსაო. მოსამსახურე ქალს არ შეშინებია, სახლის აივანზე გამოსულა და ყვირილი მოუღთავს. გაჩენილან პოლიციელები და ორივე დაუპატიმრებიათ. მეზობლები ადმოჩენილან სედრაქ ტერ გრიგოროვი და მარტიროს ოვანესოვი.

ქუთაისის ქრონიკა

—:—

✦ ამ ჟამად ქუთაისში არჩევს საქმეებს სამხედრო სასამართლო. სხვათა შორის გაირჩა საქმე იმ ორ მოსწავლისა, რომელთაც ბრალდებოდათ, ვითომ მათ ბოლოკის ქუჩაზე მცხოვრების ებრაელის მოშიაშვილის გაცარცვა უნდოდათ. ორივე მოსწავლე ქუთაისის გიმნაზიის მერვე კლასისა ყოფილა და ასეთიანი თავდებობით განთავისუფლებულნი იყვნენ. სამხედრო სასამართლომ ორივე გაამართლა, მაგრამ გამართლებისავე დღეს გუბერნატორის განკარგულებით ორივე დაატუსაღეს. როგორც ამბობენ, მათ ადმინისტრატიული სასჯელი მოელით.

✦ მორიგება ქალაქის გამგეობასა და ექიმ ბაქრაძის შორის საავადმყოფოს მოწყობილების შეძენის შესახებ ვერ მოხერხდა. ქალაქის წარმომადგენელთ წინადადება მიეცათ ბ-ნ ბაქრაძისთვის, მოწყობილობა საავადმყოფოსი იმ ფასად მოგვეცი, როგორც დაგიჯდებოდაო, ხოლო ბ-ნ ბაქრაძეს მოუთხოვნია 4.000 მან. ნაღდი ფული. ქალაქის წარმომადგენლებმა მოლაპარაკება შესწყვიტეს და ამ ნაირად საქმე ჯერ ჯერობით შეწყვეტილია.

✦ იმ ორ მოწაფის შორის, რომელნიც ამას წინად დაიჭირეს, როცა მათ სოფლად მომავალ ეტლის გაცარცვა უნდოდათ, ერთი აღმოჩენილა რეალურ სასწავლებლის მოწაფედ ნამყოფი გელაშვილი, რომელსაც თურმე ჯრუჭის მონასტრის გაცარცვა ბრალდება. მთელიცაა ამ საქმის გამო დიდი ხანია თურმე უნდოდათ შეეპყროთ გელაშვილი, მაგრამ აქამდის ვერ მოახერხა. ჯრუჭის მონასტრის გაცარცვის დროს, თუ მკითხველს არ დავიწყებია, გარდა ძვირფას ნივთებისა წაიღეს ისტორიულ მნიშვნელობის საბუთები.

✦ საქართის სანერგე, რაც დრო გადის, მით უფრო ვრცელდება, თუ აქამდის სანერგე ამზადებდა 2 მილიონზე მეტ მეტრ ამერიკულ გაზის დერწს, წრეულს ერთი მილიონიც კი ვერ მოუმზადებია. ეს იმ დროს, როცა მოთხოვნილება გლეხთაგან წრეულს 47 მილიონი მეტრია. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ 47 მილიონი მეტრი გაზი გლეხებს ნამდვილად არ დასჭირდებათ, მაგრამ ხალხი იმდენად იმედ დაკარგულია, რომ საჭირო გაზს ვერ მიიღებს, რომ ხშირად ერთი ათად მეტს უკვეთავს სანერგეს. ყოველ შემთხვევაში ხალხს დამზადებული დერწი არ ეყოფა და იძულებული გახდება ან საზღვარ-გარედან გამოიწეროს ან ადგილობრივ მენერგეებისაგან იყიდოს.

✦ ცნობილი ბოქაული მიქელაძე, როგორც მეტყველი, დანიშნულის ბოქაულის თანამდებობას თავს ანებებს.

ქალაქის საბჭო

7 იანვარი.

ამ დღეს ქალაქის საბჭოს კრება ჩვეულებრივზე ადრე დაიწყო. ამ დღეს პირველად მიიღეს მონაწილეობა ახლად არჩეულთ გამგეობის წევრმა თავ. ა. მ. არგუთინსკიმ და მდივანმა ი. ხმენოვმა. მველმა მდივანმა სტ. ჭრელაშვილმა უკანასკნელად წაიკითხა წინა კრების ოქმი და მერე ხმოსნის ადგილი დაიჭირა. საბჭომ მოისმინა გამგეობის დადგენილება სტ. ჭრელაშვილისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ. როგორც აღვნიშნეთ, გამგეობამ და საფინანსო ... დაადგინა ჭრელაშვილს 23 წლის სამსახურში ჯილდოდ დანიშნოს პენსიად 2000 მან. ხმ. მელიქ-ბეგლიაროვმა გააკრიტიკა გამგეობის დადგენილება. არ ვიცი, რა ღვაწლი მიუძღვის ჭრელაშვილს, რომ ამოდენა პენსიას უნიშნავთო.

ს. ზ. მირზოევმა დიდხანს ილაპარაკა და გააცნო საბჭოს მდივნის მოღვაწეობა. ვ. სულხანიშვილმაც მხარი დაუჭირა გამგეობის დადგენილებას. სამაგიეროდ ცხარე სიტყვა წარმოსთქვა ხმ. ხუნუნცმა, მოიგონა ქალაქის გაკოტრება და სხვა. თუ ასე ვარიგეთ პენსიები, ქალაქი სულ დაიღუპებაო. ხმ. თავ. ბ. თუმანიშვილმა უპასუხა ზოგიერთ ხმოსნებს. საბჭომ კენჭი უყარა ამ საკითხს. დადგეს სამი ყუთი: 1200 მ., 1500 მან. და 2000 მ. ყოფილს მდივანს დაენიშნა 1500 მან. (30 თეთრი და 20 შავი).

შემდეგ საბჭო შეუდგა ქალაქის თავის მოადგილის არჩევას. 33 ხმოსანმა მოადგილედ დაასახელა გამგეობის წევრი ა. ი. ხატისოვი, 14 ხმოსანმა—ა. მ. არგუთინსკი, 2 ხმოსანმა კოჩაევი და ერთმა თავ. ნ. ე. არგუთინსკი. ყუთი დაიდგა ხატისოვმა, რომელიც არჩეულ იქნა 40 ხმით 8 ხმის წინააღმდეგ.

დანარჩენი დრო საბჭომ მოანდომა კავკასიის უმაღლეს სასწავლებლისთვის ადგილის დათმობის საკითხს. შენობას დასჭირდება 2 მილიონი მანეთი. ხელის მოწერით დღემდე შეკრებილა მხოლოდ 23,167 მან., სხვა და სხვა დაწესებულებას აღუთქვამს ერთ ხანად 255,000 მან. და ყოველ წლობით 90,000 მან. გარდა ამისა, ლექციების შემოსავლიდან ნავარაუდევია წელიწადში 200,000 მ., ... სტუდენტი რომ ვიანგარიშოთ, ქალაქის გამგეობა იმ აზრისაა, ... არაფერი უნდა დაზოგოს ამ აზრის განხორციელებისათვის. საბჭომ ამ საქმისათვის ამას წინად გადასდო 130,000 მან., ყოველ წლობით 30,000 მ.ნ. და აღუთქვა 200 დესეტინა მიწა. გამგეობას გადაუწყვეტია, უმაღლეს სასწავლებელს დაუთმოს ადგილი ავლაბარში, ზომით 50 დესეტინა. თუ ვინიცობაა უმაღლესი სასწავლებელი გაუქმდა ან სხვაგან გადაიტანეს, მაშინ ადგილი შენობებით ქალაქის თვითმართველობას უნდა დარჩეს. 150 დესეტინა ადგილი, გამგეობის დადგენილებით, უმაღლეს სასწავლებლის სპეციალურ განყოფილებათა საჭიროებისათვის უნდა მიეცეს ნავთლუღისა და კუკიის მიწებიდან.

გამგეობის დადგენილებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. ზოგნი წინააღმდეგნი იყვნენ, 50 დესეტინაზე მეტი მიეცეს უმაღლეს სასწავლებელს. ხმ. ელიავა და ზოგნი სხვანი ამტკიცებდნენ, საჭიროა რაიმე წყარო გამოვნახოთ ან ვისესხოთ ფული და მივცეთ უმაღლეს სასწავლებელს; ადგილების გადაცემა შეუძლებელია, რადგან ქალაქი იზრდება და ბევრი ადგილია საჭირო. ამას გარდა გამგეობას არ აქვს გამორკვეული, თვითმართველობა რა მონაწილეობას მიიღებს სასწავლებლის მართვა-გამგეობის საქმეში. თუ ამდენ ფულსა და ადგილს მივცემთ, უფლება გვქონდეს მართვა-გამგეობის საქმეში მონაწილეობა მივიღოთო. ხმ. ვერმიშევის, ვართანოვის, ავთანდილოვის და სხვათა სიტყვით, ეს აზრი არ განხორციელდებაო. კამათმა $2^1/_2$ გასტანა და ბოლოს კრება დაიშალა.

კამათის შემდეგ საბჭომ დაადგინა, თანახმად გამგეობის გადაწყვეტილებისა, დაუთმოს უმაღლეს სასწავლებელს შენობისათვის 50 დესეტინა ადგილი ნავთლუღში, ქალაქის საყასბოს მახლობლად. რაც შეეხება 150 დესეტინა მიწის ამავე მიზნისათვის დათმობას, დაადგინეს, თუ სადმე მოხერხებული ადგილია, დაუთმოს, თუ არა ადგილის ნაცვლად ფული მიეცეს მთავრობას. საბჭო იტოვებს უფლებას შემდეგ კიდევ შეეხოს ამ საკითხს.

პროვინციის ცხოვრება

სოფ. ლელვანი (შორაპნის მაზრა) როგორც მკითხველებს მოეხსენებათ ამ რამდენისამე ხნის წინად, სადგურ შორაპანში, საფოსტო მატარებელს დაეცა რამდენიმე შეიარაღებული კაცი და, როგორც შემდეგის გამოკვლევიდან სჩანს, წაუღიათ 13 ათასი მანეთი. ამ საქმის გამო ადგილობრივი პოლიცია ფეხზედ დადგა, მაგრამ თავდასხმულთა კვალს ვერ მიაგნო. არ გასულა მას შემდეგ რამდენიმე კვირა, რომ მეათვალთაგან(?) დაუგდიათ იმავე მატა-

---

ფელეტონი

მიზიდავი კავშირი

მუშაობასა და მუსიკას შორის

(შემდეგი*)

ძველთა დროთაგანვე მუსიკა თანამორბედი იყო ადამიანისა, მისი თანაშემწე და ნუგეშინის მცემელიც-კი. ძველ მერძნებში ყოველ-გვარი სამუშაო კეთდებოდა სამუსიკო ინსტრუმენტების კვრით. თივ ქალაქს რომ სთხრიდნენ, იპოვნეს მხატვრობა, რომელზედაც გამოსახულია პურის-ცხობა დედაკაცთა ფლეიტის კვრის დროს; მალაველნი ტამ-ტამის ჰანგს უკრავენ, რომ უფრო მხნედ მოუსვან ნიჩბები ზღვაზედ ცურვის დროს; მეომარნი ყოველის ერისა ვარჯიშობენ და ლაშქრობენ მუსიკითა და სხვ.

გაკვალნიერდები და ვეცდები ავხსნა მიზეზი მუსიკის ასეთის ზედ-მოქმედებისა სულ მარტივის ფიზიოლოგიურის მოსაზრებითა. ცნობილია, რომ უფრო ნაკლები ენერგია და ჯანი იხარჯება მუშაობაში მაშინ, როდესაც ძალის-დატანება და შესვენება ერთი-ერთმანერთს მოსდევს ერთს რომელსამე გარკვეულს რიგსა და წესზედ. როცა რთულია მუშაობა და ბევრ-გვარ ძალ-დატანებას თხოულობს, ჯანი ნაკლებად დაიღლება, თუ სამუშაო განაწილებულია ისე, რომ ერთი რიგი ჯანის ხარჯვისა მეორეს მოსდევს წესსა და რიგზედ. ამ გარემოებაში მუშაობა თითქმის მექანიკური ხდება და არა თხოულობს შეგნებისა და ცნობიერების გამუდმებულ საკონტროლო და ხელმძღვანელ გამარჯვებას.

უკვე აღვნიშნე, რომ ყოველი გრძნობა, ყოველი ემოცია ეჩენება ორგანიზმს მოქმედებას, თუ გავიხსენებთ ახლა, რომ ესა თუ ის საგრძნობი პირველად თავის ტვინს ეცემა ცენტრო-მიზიდვით და იქ გრძნობად გარდაქმნილი მოილტვის ცენტრ-განრიდებით, რათა მოქმედებად გადაიქცეს, მაშინ ცხადი შეიქნება გავლენა მუსიკისა, როგორც მუშაობის შემამსუბუქებლის ელემენტისა. მართლაც და მუსიკა, ესე იგი რიტმული ნაცვალგარდობა ხმათა, ასე რიტმულადვე იწვევს ჩვენში ზემოხსენებულ ცენტრ-მიზიდვის დენას და ამით ცენტრ-განრიდების დენის გამოსაწვევად სწევს ნების იმ საჭირო იმპულსის მაგიერობას, რომლისათვისაც რთული ფსიხიური გარჯა უნდა დახარჯულიყო. ყოველ შემთხვევაში, მუსიკა დროს მაინც აღნიშნავს, როცა იმპულსი უნდა გაჩნდეს. უფრო ცხადად სჩანს სიმართლე ამ აზრისა ცეკვის დროს, როცა რიტმი მუსიკისა სრულად სწევს ცნობიერების მაგიერობას და ხელ-მძღვანელობს ფეხისა, ტანისა და ხან ხელის მოძრაობასაც. არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე გავლენა მიჩვევისა, მაგრამ თვით მიჩვევაც ხომ იგივე მოქმედებაა ორგანიზმისა, დამოკიდებული ზოგიერთ გარეგან იმპულსებზედ. არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე, რომ მუსიკის რიტმი იწვევს სამოქმედო მოძრაობას იმათშიც, ვინც არა ცეკვავს. გაიხსენეთ ტაშის კვრა აღმოსავლეთის ერთა შორის, ჩვეულებრივი ფეხის რტყმა მოცეკვავეთა. მე მგონია, რომ ყველას შენიშნული უნდა ჰქონდეს რაოდენ სასურველია მუსიკა ცხოვრებაში, რაოდენ საჭიროც-კია ზოგიერთ საქმის კეთების დროს. მაგრამ განსაკუთრებით უფრო საყურადღებოა მოწმობა მრავალის მოგზაურისა, რომ ყოველგვარ სამუშაოსათვის ხალხს თავისი მუსაფერი სასიმღერო ჰანგები აქვს შემუშავებული. ამასთანავე თითქმის დამტკიცებულია, რომ რაც უფრო განვითარებულია ერი, მით უფრო ცხადად სჩანს კავშირი სამუშაოსა და ჰანგს შორის. თუ გავიხსენებთ ყოველსავე თქმულს, ადვილად მივხვდებით, რა ჰბადებს ამ კავშირს. მართლაცა და ერის განვითარებისამებრ მისი საქმიანობაც რთულდება, დიფერენციავდება და ინდივიდუალდება, მაშასადამე, მარტივი ჰანგიც უნდა რთული შეიქმნას და შესაფერი, შესაბამი სამუშაოსი. ამ სამი-ოთხის წლის წინად დაიბეჭდა საინტერესო წიგნი გერმანელის პროფესორისა „საერო სიმღერა და მისი ეკონომიური მნიშვნელობა*)“. ეს საგანი, რომელსაც მე აქ შევეხე ოდნავ, ამ მეცნიერს ვრცლად აქვს გარკვეული და დასაბუთებული. ავტორი დიდს მნიშვნელობას აძლევს საერო სიმღერას და დიდს მომავალსაც უქადის შემდეგში.

ამ სახით, თუ ყოველ დროსა და ყოველ ერის ცხოვრებაში მუსიკა ხელისამშვენებელი იყო ადამიანისა მუშაობის დროს, მაშ, ცხადია, შესაძლებელი ყოფილა ზედ-მოქმედება მუსიკისა ადამიანზედ ფსიხიკურისა და ფიზიკურის მხრივ. თუ ერთით მუსიკა ჰმოქმედებს ადამიანის ფსიხიკურს გამოცდილობაზედ, ხოლო მეორეთი თვით არის შედეგი მისის საგმოციო მოქმედებისა, მაშ, ცხადია, ეს გარემოება ამყარებს უღრმეს შინაგანს კავშირს სამუსიკო შემოქმედებასა და სამუსიკო შეთვისებას შორის, ვინაიდგან სამუსიკო შემოქმედობა იმავე ადამიანის მოქმედების შედეგია. მაგრამ ასეთის კავშირის დამყარება მხოლოდ იმის მანიშნებელია, რომ პირდაპირ შეთვისებასთან ერთად შესაძლოა პირდაპირი ზედ-მოქმედებაც ფსიხიურს სფეროში. მით უფრო მაინც ჯერ შორს არის იმ განსაზღვრულ ზედ-მოქმედებაზედ, რომელსაც იწვევს სურათი და ცნება და რომელსაც განვსაზღვრავთ სიტყვით „დასურათება“. მაგრამ, უნდა ვიკითხოთ, ახლა, შეუძლიან კი რომელსამე ხელოვნებას საზოგადოდ რაიმეს დასურათება? ჰანსლიკის მომხრენი ამბობენ, მუსიკას არ შეუძლიან დასურათება ადამიანის სულის ძვრისა და მღელვარებისა. დიალაც, არ შეუძლიან. მე თქვენა გკითხავთ: მხატვარს შეუძლიან დაასურათოს ოთახი, პეიზაჟი, თუ გინდ პირისახე, ან პოეტს შეუძლიან დაჰხატოს სიყვარული, ალტაცება, ცხენი, ქუჩა?; მექანდაკეს—კაცი და სხვ.? მე ვგონებ, რომ ყოველს ხელოვნებას მხოლოდ ის თვისებანი შეუძლიან გამოჰხატოს, რომლის დახატვაც მის ხელთ არის, სხვა-კი ყოველივე უნდა შეავსოს ჩვენმა უნარმა საგნის წარმოდგენისამ.

როცა პოეტი ამბობს: „წყნარია ღამე უკრაინისა, მოწმენდილია ცა, ვარსკვლავთ კაშკაში გააქვთო“, ჩვენ მხოლოდ გვჯერა, გვწამს მისი სიტყვები. მხოლოდ განსაკუთრებულის ნიშნების შერჩევით შეუძლიან წარმოგვადგენინოს ეგ ღამე, ხოლო დახატვა, დასურათება მისი იმ ნაირად, როგორც ნამდვილად არის, პოეტს, რასაკვირველია, არ ძალ-უძს. ხელოვანი მხატვარიც, როცა ჰხატავს თავის სურათს უკრაინის ღამისას, სცდილობს მხოლოდ წარმოადგენინოს მხილველს ასეთი ღამე. ხან და ხან ასეთ დასურათებასაც ვერ მოუხერხებია დაჰხატოს არსებითნი ნაკვთნი ნახატისა. ყოვლად უფრო მდიდარი ამ მხრივ სხვა და სხვა ფერადით არის პოეზია, მაგრამ ხშირად ისიც უძლურია ამასთანა დასურათებისათვის. ყოველი აღწერა ბუნების მოვლენისა, კაცისა, უბრალო საგნებისაც-კი და განსაკუთრებით გრძნობისა არის ან დაწვრილებული არაფრის გამომხატველი ჩამოთვლა ნიშნობლივ თვისებათა ან და,—თუ დასურათება ნიჭიერია,—რამდენიმე საუცხოვო კალმის მოსმა, შედარება, მეტაფორა... და ეს უკანასკნელი დასურათება, რომელიც ერთის მხრივ ფრთას ასხამს ლექსებს თავისუფლად წარმოდგენის უნარს, ხოლო მეორეს მხრივ იწვევს მაგ უნარს სამოქმედოდ, ჰქმნის ბოლოს ძლიერს აფერადებულს სურათს. აიღეთ რამდენიმე წერტილი, უწესოდ გაფანტული. მაშინვე ცდილობთ თქვენი გონებით შეაერთოთ იგინი ხაზებად, დაუწყებთ ძებნას ფიგურას. ეს ასე იყო და არის ყოველთვის. საკმაოა გაიხსენოთ ის გარემოება, რომ ვინ-რომ უწესოდ ცაზედ გაფანტულნი ვარსკვლავნი ისეთ ჯგუფებად იქმნა თავ-მოყრილი, რომელიც განსაზღვრულ ფიგურებს წარმოადგენს. ხოლო ეს მოიქმედა კაცმა არა გონება-დატანებით, მექანიკურად, არამედ ჰმოქმედებდა ნამდვილ შთაბეჭდილების გავლენით. საკმაოა დაინახოს ადამიანმა სამი წერტილი, რომ მაშინვე წარმოიდგინოს თვალ წინ სამ-კუთხედი. შეიძლება კაცმა ასეთი რამ გასართობი სცადოს: დაჰხატოს ოდნავ ცხვირის თავი, დაჰნიშნოს ადგილი პირისა, ოდნავ გამოჰხატოს ნიკაპი, თვალი აღნიშნოს, ერთი-ორი ხაზი გაუსვას თმის გამოსახატად და გათავდა—გამოვა ადამიანის პროფილი, ხოლო წარმოდგენის უნარი თვით დაამთავრებს სურათს.

ჰანსლიკი სრულიად უგულებელ-ყოფით ეკიდება წარმოდგენის უნარს და, თუ ის მოვთხოვეთ დასურათებას, რასაც

იხ. *) „ისარი“ № 3.

*) ამ წიგნში მოთავსებულია, სხვათა შორის, ორი ქართული სიმღერა, მუშური თოხნის და თიბვის დროს, გადაღებული კარგარეთლის მიერ. ი. გ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებელს და გაიტაცეს რამდენიმე ათასი მანეთი (ამბობენ, 40 000 მ. მეტით.) ამ უკანასკნელ დაცემის დროს პოლიციამ სასტიკი ზომები მიიღო და, როგორც გაზეთებშიაც იყო აღნიშნული, ორი თავდამსხმელთაგანი იქვე მოჰკლა, ორიც სად. ძირულის მახლობლად მოჰკლა. ამავე დროს დაიჭირეს შემთხვევით რკინის გზის დისნდაგზედ მომავალი ერმინე ტაბატაძე, რომელიც გამოტყდა, რომ მე მივიღე მონაწილეობა ამ თავდასხმაში. მანვე დაასახელა მეიდამდე სხვა ტაბატაძე; ამათ კიდევ სხვები დაასახელეს და, სხვათა შორის, თავადი გრიშა აბაშიძე. ესენი ყველანი დააპატიმრეს და კიდეც გადაგზავნეს ქუთაისის საპყრობილეში. გამოძიება სწარმოებს. ამასთანავე ზვენებით პოლიციამ აღმოაჩინა ერთ ქალესიის კალიგანში ოქროსა და ვერცხლის ფულით სავსე ხურჯინი. ეხლა სადგურ მარელისში გატაცებულ 13,000 მ. ახდევინებენ მახლობელ ლელვანის საზოგადოებას. ფული თანაბრად გაუწერიათ და კომლზედ 17 მანეთი შეჰხვდებია. ხალხი დიდ განსაცდელშია, რადგან წრევანდელ მოუსავლობის გამო ისედაც დიდ გაჭირვებაში იყო ხალხი ჩავარდნილი და ეხლა ეს ფულიც დაატყდათ. თუ მღაეტორმა დამეზედ გატაცებული ფულიც გადახდა ჩვენ საზოგადოებას, მაშინ მთლად დავიღუპებით. არ შემიძლიან არ აღვნიშნო ერთი საყურადღებო ამბავი: როდესაც დ. ხარაგაულის მწერალს იოსებ ტაბატაძეს (ამას შვილიც დაჭერილი ჰყავს) გაეგო, რომ ლელვანის საზოგადოებას ფულს ახდევინებენო, მაშინვე დაბარებულა ამ საზოგადოებაში და უთქვამს ხალხისათვის, მე ისე მოვიხერხებ საქმეს, რომ ამ ფულს გაპატიებენ, ოღონდ საქმის საწარმოებლად ათ ათი მანეთი შემოკრიბეთ კომლზეო. მართლაც, როგორც აქაურებმა გადმომცეს, შეუკრებიათ სამოც თუმნამდე. ეს ფული ი. ტაბატაძეს მიურთმევია და ხალხი დღეს არ ნაირად იყლიფება. ეს ვაჟბატონი თავის თავს სოც.-დემოკრატად სთვლის და კიდეც დიდ გამჭრიახობას იჩენდა ხალხმა არჩევნებში, რომ სოც.-დემოკრატი გასულიყო გლეხთა კურიიდან და დღეს ავთ საკმირო საქმეებს სჩადის. მაგრამ არ დაუძრახავს, როგორც პროლეტარიზაცია-კონცენტრაციის მიმდევარი, ახებად იგი ახორციელებს თავის იდეას.

ზღუმარი.

—

ქიზიყი. არ იქნა და არ გაუთენდათ ხეირიანი დღეები ქიზიყელებს! ამ ჟამად მათი მდგომარეობა მეტად უნუგეშოა. არ იციან, რა ჰქნან და რით გაიტანონ თავი. რუსქეთის ფეხზედ წამოყენებამ ქიზიყელ გლეხობას წელი მოსწყვიტა, რადგან ეხლა აღარავინ აღარ იღებს, აღარც მოსახმე, აღარც ბერი, აღარც მღვდელი და ერი. შველა, გასაგეკი ამ მოძრაობის დროს რამე წვენა ჩაუდგა გულში, უდიერად ექცევათ თვით ის მებატონეებიც-კი, რომელნიც ამ ერთის წლის წინად ძმობას და სიყვარულს უფიცებოდნენ, თავიანთ მამულსაც ხალხის სურვილზედ აგდებდნენ, დღეს გაფიცებულნი ადმინისტრაციასთან ხვიან და დღის ერთისა და ორის დღის განმავლობაში უკლებლად იდებენ, გლეხებს დაღის და დრამის მიდებმის ვადას სათითაოთ უნიშნავენ. მებატონის თხოვნით, ბოქაული მოსწერს სოფელს, რომ ამა და ამ სათამდის თქვენს ბატონს გაუსწორდით თორემ გვზამბად უახნებს ზაგიყენებთო. სოფლელებიც, უახხებით შეშინებულნი, მაინცე შეუდგებიან ხალხმა თავდარიგს და რაც უნდა ძვირადაც დაუჯდეთ, მოუტანენ ფულს.

სამწუხაროდ ძალზე ნაკლებად არის ეხლა მელგან, რომ მათი მაინც გამოიკვებონ თავი. ამ მდგომარეობაში მყოფი ქიზიყელი გლეხი სოფლიდგაი სანახავი არიან ისეთნი, რომელნიც გლეხის ასეთ მდგომარეობის გამო სიხარულით ცას მოეწვიენ. მაგრამ ნუ დაივიწყებენ ეს ვაჟბატონები, რომ ცხოვრება ჩარხია, ჩარხი კადგარდება და გვიჩვენებს მთელს და სადს გვერდს. ვიცით ვგულამ, რომ ერთ დროს კიდევ მოიკიტუნებენ თავს ეს გლეხთა მტარვალნი და ეძებებიან მათ გულის მოლბობას, მაგრამ მგონი, რომ გვიანღა იქნება...

ფეიქარ მეგალაძ-შვილი.

იურიეველი კორესპონდენტი და ჭეშმარიტება

გაზეთ „წყაროს“ მე 28 ნომერში მოთავსებული იყო წერილი, რომლის საყურადღებო ნაწილი იურიევში მყოფ ქართველ სტუდენტების ცხოვრებას შეეხებოდა. ეს წერილი მით უფრო საყურადღებოა, რომ კორესპონდენტს წინდაწინ განზრახული მიზანი ჰქონია—ჩირქი მოეცხო ქართველების ერთ ჯგუფისათვის; ამ მიზნის მისაღწევად არ დაერიდებია არაფერ საშუალებას. ლანძღვა გინება, ეს კაცის დამამცირებელი და სუსტ ადამიანის საბრძოლველი იარაღი, მთავარი არგუმენტია იურიეველ კორესპონდენტის წერილში. რით შეუძლიან ადამიანს ებრძოლოს ასეთ კაცს? ამავე საშუალებით? ეს ხომ მასხარად აგდება იქნება მკითხველ საზოგადოებისა, რომლისთვისაც ეს წერილები იწერება? ჩვენ, ვინც კი გავხდით „მსხვერპლი“ კორესპონდენტის რისხვისა, გვსურს საზოგადოებას დავანახვოთ საქმის ნამდვილი ვითარება და იურიეველ კორესპონდენტის წერილი ჭეშმარიტების სამსჯავროს წინაშე წავაყენოთ. ეს მით უფრო სასურველია, რომ საქმე საზოგადოების შეგნებულ ნაწილს, სტუდენტობას შეეხება.

რად არის განრისხებული იურიეველი კორესპონდენტი? რად მიუმართავს მას სამარცხვინო იარაღისთვის, როდესაც შეეძლო, თავისი შეხედულება ქართველების ერთი ჯგუფის მოქმედებაზედ უფრო დაწყნარებით გამოეთქვა? რა ჩაიდინა ქართველების ერთმა ჯგუფმა იმისთანა, რასაც გამოეყვანა მოთმინებიდან კორესპონდენტი? ამ კითხვაზედ მისი წერილი პასუხს არ იძლევა და ამისათვის მე თვით ვეცდები გავაცნო საზოგადოებას ჩვენი „სამარცხვინო მოქმედება“, დაე საზოგადოებამ განსაჯოს, თუ ვინ ჩადის სამარცხვინო მოქმედებას.

როგორც რუსეთის სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებში, ისე იურიევში რამოდენიმე წელიწადი არსებობდა ქართველ სტუდენტების ორგანიზაცია „ზემლიაჩესტვო“. მიზანი, რომელსაც იგი ემსახურებოდა, შემდეგი იყო: მატერიალურად ერთ-ურთის დახმარება, ჟურნალ-გაზეთების გამოწერა და სხვა. წრეს ჰქონდა თავისი სამკითხველო, ნაციონ. ტანისამოსი, ყოველ წელიწადს მართავდა ქართულ საღამოს, რომლის შემოსავალიც ხმარდებოდა ღარიბ ამხანაგებს. ამ ორგანიზაციის წესდების ძალით, წევრებად ითვლებოდნენ მხოლოდ ისინი, ვისაც-კი შეეძლო ქართული ლაპარაკი. შარშან ზოგიერთ წევრებში დაიბადა აზრი, რომ ქართული „ზემლიაჩესტვო“ მოესპოთ და იმის ადგილას დაეარსებინათ უფრო ფართო ორგანიზაცია, რომლის წევრებადაც იქნებოდნენ არა მარტო ქართველები, არამედ ყველა კავკასიელი სტუდენტები. როგორ აუხსნათ ასეთი სურვილები, სად არის მიზეზი ასეთ მოვლენისა? გადაჭრილ პასუხს ამაზე ვერ მივცემთ, მაგრამ გვგონია, რომ მათ ან სურდათ ინტერნაციონალური ელფერი მიეცათ ორგანიზაციისათვის, ან და ეშმაკურ, ეგოისტურ მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ. არც ერთი ეს შესაწყნარებელი არ იყო: „ზემლიაჩესტვოს“ პირ და პირ ოჯახური მიზანი ჰქონდა და ინტერნაციონალური პრინციპები მისთვის მხოლოდ ლამაზი სამკაული იქნებოდა. ახალ ორგანიზაციასაც („კავკ. საზოგ.“) ისეთივე ვიწრო, ოჯახური მიზანი აქვს, როგორც „ზემლიაჩესტვოს“. ახლა ვეკითხებით ჩვენს მოწინააღმდეგეთ—რა მიზანი გქონდათ თქვენ, როდესაც ქართულ „ზემლიაჩესტვოს“ მოსპობაზედ გაიძახოდით?

თავში ვთქვით, დაიბადა აზრი, რომ ქართული „ზემლ.“, ეს ვითომდა ვიწრო ნაციონალისტური ორგანიზაცია, ინტერნაციონალურ ორგანიზაციად გადაეკეთებინათ. ამ სურვილის სისრულეში მოყვანას კიდეც შეუდგნენ. ისე კრება არ გაიხსნებოდა, რომ არ ეთქვათ—„საჭიროა“ თუ არა „ზემლ.“ გარდაქმნაო“. პირველ ხანს ვერაფერი მოახერხეს. არავინ ყურადღებას არ აქცევდა, ამიტომ გაანჩხლებულნი მხოლოდ დროსა და ჟამს უცდიდნენ. იწვევდნენ კრებას კრებაზედ, მაგრამ, მათდა საუბედუროდ, ცოტანი ესწრებოდნენ. „ზემლ.“ ლიკვიდაციისთვის კი საჭირო იყო წევრთა 2/3 სურვილი. ორჯელ დანიშნულ კრებას ძლიერ ცოტანი დაესწრნენ და ბოლოს გადასწყვიტეს, რომ მეხუთე კრება კანონიერად ეცნოთ, რამდენი წევრიც უნდა დასწრებოდა. ასეც მოხდა. 13 კაცი შეადგა ახალ საზოგადოების წესდების შემუშავებას მაშინ, როდესაც ჯერ „ზემლ“. მოსპობა არ იყო გადაწყვეტილი, რადგან ამისთვის, როგორც ვთქვით, წევრთა ორი-მესამედის სურვილი იყო საჭირო.

ასეთია მოკლედ ისტორია უკანონოდ შობილი „კავკას. საზოგადოებისა“. კორესპონდენტი-კი იძახის, რომ უმრავლესობამ გადასწყვიტა ეს საკითხიო. თუ გინდ ასეც იყოს. განა უბრალო უმრავლესობას (ერთი და ორი მეტი ხმა) შეეძლო ამ საკითხის გადაწყვეტა? წარსულ წლიდან შეუდგნენ მოქმედებას: წესდება მიღებულ იქნა. „ვითომ“ მოსპობილ „ზემლიაჩესტვოს“ მხოლოდ ერთი მუხლი შესცვალეს: „წევრებად ითვლებიან ყველა ისინი, ვისაც კი შეუძლიან ქართული ლაპარაკი“-ს მაგიერ, მიიღეს—„წევრებად ითვლებიან ყველა კავკასიელი სტუდენტები.“ ბევრი იყო წინააღმდეგი ამისა, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზის გამო არავითარ ზომებისათვის არ მიუმართავთ. ბოლოს კერძო პროტესტები კოლექტიურ პროტესტად გადაიქცა, ე. ი. შესდგა ჯგუფი „ზემლ.“ წევრებისა და მოისურვეს, რომ „კავკას. საზ.“ ჩასახვით ვითომდა „მკვდარ“ ქართულ. „ზემლიაჩ.“ გაეცოცხლებინათ, რადგან იმის არსებობის კანონიერების წინააღმდეგ საჭირო უმრავლესობას არაფერი ჰქონდა. კრება დაინიშნა კერძო ბინაზედ, რომელზედაც „ულმობელი“ კორესპონდენტი ამბობს. „ჭეშმარიტ ქართველებმა ჩუმად მოახდინეს კრებაო“, და როგორც კილოზედ ეტყობა, სამარცხვინოდ მიაჩნია ასეთი საქციელი. მართალია, კრების გამართვის უფლება ჩვენ პოლიციისათვის არ გვითხოვია და თუ ეს კორესპონდენტს სამარცხვინოდ მიაჩნია, ვთხოვთ გვაპატიოს. კრებას დაესწრო, სხვათა შორის, 5 წევრი „კავკ. საზოგ.“ კრებამ დაადგინა: „განვაახლოთ „ზემლიაჩეს“ ძველის ფორმით. ეს არის ჩვენი მოქმედება, რომელსაც კორესპონდენტი „სამარცხვინოს“ უწოდებს.

შემდეგ კორესპონდენტი ... „გამოსათხოვარ“ კრე... „გამოსათხოვარი კრება არა ყოფილა: იყო მხოლოდ კრება, სადაც „ზემლ.“ მომხრეთ თავიანთი სურვილი გამოეთქვათ და ოფიციალურად განეცხადებინათ, „რომ „კავკ. საზ.“, რაღაც მიზეზების გამო, პირნათლად ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას, რაც სჩანს იქიდან, რომ, 1. ქართულ „ზემლიაჩესტვოს“ არსებობის დროს ჟურნალ გაზეთებს ვიღებდით, „კავკ. საზოგ.“-კი ერთი წლის განმავლობაში გაზეთი არ მიუღია; 2. ქართული „ზემლ.“ შეძლების დაგვარად ეხმარებოდა თავის ღარიბ წევრებს, „კავკ. საზ.“-კი არავის არაფერს არ დახმარებია; 3. „ზემლ.“ ჰქონდა თავისი საკუთარი საკითხველო და ოთახი, „კავკ. საზოგ.“ არც ერთი და არც მეორე არა ჰქონია. აქედან ნათლად სჩანს, რომ „კავკასიური საზ.“ ვერ აღწევს თავის მიზანს, რამაც გვაიძულა ქართული „ზემლ.“ აღვედგინა მით უმეტეს, რომ იგი არავის არ მოუსპია“. კრებაზედ იმისთვის მოვედით, რომ ზემოდ-მოყვანილი მოსაზრებანი გვეთქვა, რაიცა ჩვენ პირნათლად შევასრულეთ და ყველას ჩვენი ფიზიონომიაც დავანახვეთ. კორესპონდენტი შემდეგის სიტყვებით ახასიათებს ჩვენ საქციელს კრების დროს: „ჭეშმარიტ ქართველებს არ უნდოდათ ნიღბის ჩამოხსნა და „კავკ. საზ.“ თავის გამოსვლის მიზეზის დამალვას ძლიერ ცდილობდნენ, მაგრამ ძალით ჩაითრიეს ისინი იმ საკითხში, თუ რით ხელმძღვანელობდნენ ისინი „კავკ. საზ.“ გამოსვლის დროს. საბრალონი! სწორეთ ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნენ!-ო“ ამისთანა მარგალიტი სიტყვები არ დაიშურა კორესპონდენტმა ჩვენს შესამკობად. ჯერ ერთი, ბ-ნ კორესპონდენტო, თუ ნალაპარაკევის გაგონება შეგიძლიათ და გაგონილის გაგება, ნათლად დაინახავდით, რომ ის მარგალიტი სიტყვები, რომელიც ფელეტონში ჩაამწკრივეთ, ყალბი და გამოუსადეგარი კენჭებია. მაგრამ, საუბედუროდ, როგორც ვხედავთ, თქვენ არც გაგონება შეგძლებიათ და არც გაგონილის გაგება და მკითხველი საზოგადოება შეცდომაში შეგყავთ. თუ დაუკვირდით, ბ-ნო კორესპონდენტო, კრებაზედ მხოლოდ ორი ორატორი ლაპარაკობდა შემდგარ ჯგუფის მხრით და მათი ნალაპარაკევი ერთი ერთმანეთს ავსებდა და არ ეწინააღმდეგებოდა, როგორც თქვენ მოგჩვენებიათ. ყველა იმას ლაპარაკობდა, რასაც ფიქრობდა და რაცა სურდა. ბ-ნი კორესპონდენტი გვიკი-

---

ჰანსლიკი გულისხმობს, ვერც ერთი ხელოვნება ვერ შეასრულებდა იმ მოთხოვნილებას და თვით სიტყვა „სურათი“, დაფერადებული სახე ყოველის თვისის სახატით ალბა თუ ძალმა უნდა განვვდევნოთ ყოველის ლექსიკონიდან, როგორც უვარგისი და უხეირო რამ. მუსიკას შეუძლიან გამოჰხატოს მხოლოდ ის ნიშნობლივი თვისებანი, რომელსაც ასეთი თუ ისეთი კავშირი აქვს სამუსიკო ელემენტებთან. ასეთი შეზღუდვა არაფრით არ ავიწროებს და არ ჰკუმშავს მისის ზედ-მოქმედების სფერას ანუ მის უნარს დასურათებისას.

დუმილით ვერ აუვლით გვერდს ფსიხოლოგიაში გონება-მახვილს მკვლევარს რიბოს, რომელმაც დაბეჭდა თავისი ცნობილი თხზულება „შემოქმედებითი ნიჭი წარმოდგენისა“. ეს სწავლული ამტკიცებს, რომ არსებობს განსაკუთრებული დარგი სამუსიკო შემოქმედებითის წარმოდგენისა, რომელსაც მასალად აქვს მარტოოდენ სულის ესა თუ ის მდგომარეობაო. სწორედ ამ წარმოდგენის ნიჭით უნდა იყვნენ, ჩემის ფიქრით, შემკულნი კომპოზიტორები, მუსიკის დიდი ოსტატები.

—

რომ დავუბრუნდეთ კვლავ იმ ღონისძიებათა გარკვევას, რომელიც ხელთა აქვთ კომპოზიტორებს, შესაძლოა მათი ცხად-ყოფა და განსაზღვრა იმ სფერისა, რომლის დასურათებაც შეუძლია მუსიკას.

ხმას, ბგერას სამი ვითარება აქვს და ერთი თვისება. ეგ მისი ვითარებანი ყველამ იცის. ეგ არის სიმაღლე, ძლიერება და ტემბრი. თვისებაც ასევე საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ ყურადღება კი ამ თვისებას ძლიერ მცირე აქვს მიქცეული, როცა იკვლევენ იმას, თუ რა მოქმედება აქვს ადამიანზედ მუსიკას. მეტია აქ ლაპარაკი ხმა-ბგერის ზემოხსენებულ ამა თუ იმ ვითარებაზედ; მეტია აგრეთვე დამხარ-დამხარება მაგ ვითარებასა და იმ სულიერ მდგომარეობისა, რომელსაც იმჩნევს იგი ვითარება; სპენსერმა საკმაო სიცხადით გაარკვია ეს საგანი. ესეც არ იყოს, თითოეულს თქვენგანს თვითონ ექმნება შემჩნეული, რა კავშირიც არსებობს, მაგალითად, ლაპარაკში ხმის ამაღლებასა და მოლაპარაკეს სულიერ მდგომარეობის შორის. რამდენ ხმა-შეკიდებითაც ლაპარაკობს კაცი იმოდენად გრძნობა-აღძრულიც უნდა იყოს. მე მინდა მხოლოდ განვმარტო ეს საგანი და ხმა-ბგერიდან მელოდიაზედ გადავიდე. ტერმინს „მელოდია“ მე ისე ვგულისხმობ, როგორც სხვა და სხვა სიმაღლის ხმა-ბგერათა ნაცვალ-გარდობას დრო-ჟამის ხანგრძლივობაში.

მელოდიის განხილვა ხმა-ბგერის ძირითად თვისების გარეშე, რასაკვირველია, შეუძლებელია, ამიტომ უნდა მივმართოთ ამ თვისებას და თქვენი ყურადღება მივაქციო სხვათა შორის ერთს განსაკუთრებულს ხასიათს სამუსიკო ხელოვნებისას. საქმე ის არის, რომ ხელოვნების ყველა ნაწარმოებნი, რაკი ერთხელ შეიქმნა და გაჩნდა, დამოკიდებულია დრო-ჟამზედ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი ჰმოქმედობს იმაზედ თვისის გამანადგურებელის ხელით.

გულში უნდა გქონდეთ და გახსოვდეთ, რომ მუსიკაში დრო-ჟამია წყარო სიცოცხლისა და მხოლოდ ცვლილება სამუსიკო ელემენტებისა დრო-ჟამის მსვლელობაში წარმოადგენს ამ ხელოვნების ქმნილებას. მაგრამ მთლად ცხოვრებაც ხომ სხვა არა არის-რა, თუ არ ცვლილება ჩვენის „მე“-სი დრო-ჟამის მსვლელობაში. და აი სწორედ ამ დამხარდამხარებასა და პარალელიზმშია დაფარული უღრმესი და უუძირითადესი კავშირი ცხოვრებასა და მუსიკის შორის. მართლაც და, წარმოვიდგინოთ ცვალებადი რიგი სულიერის მდგომარეობისა და ვეგულოთ მოდგინოთ, რომ თითოეული მდგომარეობა, რომელსაც განიცდის სუბიექტი, გარდაიცემის ხმა-ბგერის შემწეობით. თუ გავიხსენებთ სულიერ მდგომარეობასა და ხმა ბგერის ვითარებათა ურთიერთ დამოკიდებულებას, უნდა დავასკვნათ, რომ გარდაცემა სულიერ მდგომარეობის მაგ მთელის რიგისა არა თუ იმ სახით გარდიქმნება სამუსიკო ელემენტებად, რომელსაც კანონიერი კავშირი აქვს ასეთ გარდაცემასთან, ამასთან რამდენ ცვალებადი იქმნება მდგომარეობა სულისა, ესოდენვე შეიცვლება ხანგრძლივობა ცალკე ხმა-საბგერო ელემენტებისა და მათის ჯგუფ-კრებულისა. აი ამ მოვლენას აღვნიშნავთ ჩვენ მუსიკაში რიტმით. გამოკვლევის სისრულისათვის, საჭირო იყო, რასაკვირველია, განგვეხილა ისიც, თუ რა მოქმედება აქვს მელოდიას, როგორც მუსიკალურად გაგებულს სიტყვას, რაშია შეწყობა და შეთანხმება მელოდიებისა, ესე იგი, რა არის კონტრაპუნქტი და ერთხანიერი თან-ხმობა ცალკე ხმებისა, ესე იგი ჰარმონია. დრო ნებას არ მაძლევს შევჩერდე ამ საგანზედ, რომელიც დიდად საინტერესოა და ღირსი ცალკე ტრაქტატის თემად იქმნას გადაქცეული; ამიტომ ვკმარებ მხოლოდ იმის დამტკიცებით თქმას, რომ მელოდია და რიტმი ნებას გვაძლევს მოვისაზროთ და გავითვალისწინოთ, რამდენამდე მაინც, სულიერი მდგომარეობა მოლაპარაკისა, ხოლო მუსიკაში ის გუნება, ის კილო, რომელიც წარმოადგენს სამუსიკო აზრის შინაარსს, რომელიც წარმოადგენს, ანუ რომელსაც შეეძლო წარმოედგინა მაინც ეგ შინაარსი.

ახლა კვლევა-ძიება უნდა გადავიტანოთ ისეთ სფეროში, რომელსაც, რამდენადაც ვიცი, ჯერ არავინ შეჰხებია მუსიკის მხრივ. ამიტომ ბოდიშს ვიხდი, თუ თქვენი ყურადღება დავღალე ისეთის მსჯელობითა და მაგალითებით, რომელიც პირდაპირ საგანს არ შეეხება.

ადამიანს მინიჭებული აქვს უნარი შეითვისოს და წარმოიდგინოს ზოგადი რამ, ხშირად აუხსნელი მსგავსება სულ სხვა და სხვა რიგობის ცნებათა შორის.

ყველა მიხვდება ჩემს აზრს, თუ ვიტყვი: ტკბილი ანუ რბილი ხმა, წვრილი ანუ მკრთალი ბგერა, შავ-ბნელი სევდა, ნათელი გონება, მხურვალე სიყვარული, გულ-ცივი შეხედვა და სხვ. მაგრამ არა მგონია მოიპოვებოდეს ისეთი კაცი, რომელსაც შეეძლოს და განმარტოს, რა არის საერთო ისეთ გრძნობათა შორის, როგორიც არის სიტკბო, საგრძნობი საგემოვნო და სირბილე, საგრძნობი შეხების-მიერ, ანუ ბგერა, საგრძნობი სმენის-მიერ? რა არის ისეთი რამ საერთო მათ შორის, რაიცა ნებას გვაძლევს შევაერთოთ იგინი ერთ ცნებად? არა მგონია ასეთი განმარტება შეიძლებოდეს და ამ მოვლენას ვხსნი მით, რომ სხვა და სხვა რიგობის ცნებას აქვთ თითო-ოროლა ზოგადი განსაკუთრებული თვისება, რომელიც მხოლოდ სხვა და სხვანაირად იჩენს თავს იმის და შესაბამად, თუ ადამიანის რომელმა ორგანომ შეიმჩნია, მაგალითად, ელექტრონის გამოკრთობა, მხედველობით შეთვისებული, გრძნობის ნაპერწკალის სახით გვეჩვენება, ხოლო შეხებით შეთვისებული—ჩხვლეტის სახით; გარნა თუ ადამიანი შეხების უნარს მოკლებულია და უსინათლო, ცოტაოდენს სუნს იგრძნობს ოზონისას, რომელიც ჩნდება ნაპერწკალის სროლის დროს. ამგვარადვე ის თვისება სინათლისა, რომელსაც ჩვენ სიმკრთალეს ვუწოდებთ, თვისი შინაგანის განსაკუთრებულის თვისების წყალობით, ემსგავსება ბგერის მიერ წარმოებულ თვისებას და ამიტომ ამ თვისებასაც იმავე ცნებითა ვხატავთ, იმავე ტერმინს ვაძლევთ. შესაძლოა, რომ ტვინის შესაბამ განყოფილებაში იგივეობითი მოვლენა სწარმოებს და ეგ მოვლენა გადიქცევა ხოლმე სხვა და სხვა ცნებად იმის-და მიხედვით, თუ ტვინის რომელს ადგილას მოთავსდა. ცნობილია, რომ ხან და ხან პირდაპირი და მუდმივი კავშირი არსებობს სხვა და სხვა რიგობის შეთვისებათა შორის: ყველს ექნება გაგონილი ესრედ-წოდებულ ფეროვნების სმენის ამბავი, როცა ადამიანს ესმის ერთის რომელისამე სიმაღლის ხმა და ამ დროს უთუოდ ერთი და იგივე ფერი ეჩვენება და მერე ისე ცხადად, რომ ამ ფერის წყალობით შეუძლიან განსაზღვროს ის ხმა.

გავბედავ და კიდევ უფრო მეტს ვიტყვი, რომ არა მარტო ცალკე-ცალკე და მარტივ ცნებათა შორის არსებობს ასეთი შინაგანი მსგავსება, არამედ შესაძლოა დამტკიცდეს, რომ ასეთი კავშირი არსებობს მაშინაც, როცა მოვლენა და ცნება რთულია და მეტის-მეტადაც რთული. ამ შენიშვნების გამოყენება განსაკუთრებულ მსგავსებათათვის მაშინ, როცა ადამიანი იკვლევს იმას, თუ რა ღონისძიებით სწარმოებს ზედ-მოქმედება მუსიკისა ადამიანზედ, ძალიან ძნელი იქნებოდა, უკეთუ კაცთა შორის ბევრს არა ჰქონოდა ნიჭი და უნარი ხმათა საბგერო შეთვისების გარდაქმნის სხვა გვარ ცნებად.

ი. კარგარეთელი.

(შემდეგი იქნება.)

ეინებს, რომ ჩვენ გულწრფელად არ ვაღიარეთ ჩვენი ნამდვილი სურვილი. ასეთი თქვენი საქციელი გვაგონებს კრილოვის ერთ არაკს „მაიმუნს და სარკეს“, რომლის შინაარსიც, იმედია, კარგად გეცოდინებათ. გვეკითხებით აგრეთვე, ვითომ ჩვენ გვრცხვენოდა ჩვენის სახის ჩვენებისა, მაშინ როდესაც ზოგიერთი თქვენი თანამოაზრენი კრებაზედ თქვენს სასარგებლოდ და ჩვენს საწინააღმდეგოდ ბევრს ლაყბობდნენ, მაგრამ ჩვენთან-კი ჩუმად ფურჩულებდნენ: „ოღონდ ქართული „ზემლიაჩ.“ იყოს და იმაზე უკეთესი რა იქნებაო“; ქართულ „ზემლიაჩესტვოს“ საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ ხალხისა გვრცხვენია იქ შესვლა, რადგან მას „ქართული“ ჰქვიაო. ამას ლაპარაკობენ, ბ-ნო კორესპონდენტო, თქვენი თანამოაზრენი! ხომ ჰხედავთ, რამდენად გულწრფელნი ბრძანდებით და რამდენად გაკავშირებთ ერთსულოვნება.

შალვა ქორიძე.

(დასასრული იქნება)

რუსეთი

✦ **სახალხო უნივერსიტეტთა წარმომადგენლების კრება.** პეტერბურგის ქალაქის სათათბიროს დარბაზში სახალხო უნივერსიტეტთა წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. ორ საათზე სხდომა გახსნა საორგანიზაციო ბიუროს თავ-მჯდომარემ დრილმა. ბან მიულოცა დასწრეთ პირველი კრების გახსნა და იმედი გამოსთქვა, რომ ასეთი კრებები შემდეგშიაც გაიმართება ხოლმე. შერე დრილმა წაიკითხა მოხსენება საორგანიზაციო ბიუროს მუშაობის შესახებ და, სხვათა შორის, ისიც სთქვა, რომ გეგმა ამ კრებისა სტოკჰოლმის კრების მიხედვით არის შედგენილი. კრებამ მოსკოვის წარმომადგენელი, მერეისკის, რომელიც კრებას ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო, შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: «პირველი მთელი რუსეთის კრება სახალხო უნივერსიტეტთა წარმომადგენლებისა გულითადს სწუხარებას აცხადებს თქვენის ავადმყოფობის გამო, იმედოვნებს, რომ მალე მორჩებით და თქვენს ნაყოფიერ მოღვაწეობას მალე ისევ დაუბრუნდებით.» კრების თავ-მჯდომარეთ არჩეულ იქმნა მ. კოვალევსკი; თავ-მჯდომარის ამხანაგებად—მესტაკოვი, მოსკოვის წარმომადგენელი, ხარკოვის წარმომადგენელი—დანილევსკი და ვარშავისა—გრაჩევსკი. კოვალევსკის კრება ტაშის ცემით მიეგება. კოვალევსკიმ მოკლე სიტყვა სთქვა და ამ სიტყვაში დაახასიათა მოქმედება სახალხო უნივერსიტეტებისა ნიდერლანდებსა და შვეციაში.

ამის შემდეგ დაიწყო მოხსენებათა კითხვები. პირველად მოხსენება ისაევს უნდა წაეკითხა, მაგრამ იგი კრებას არ დაესწრო და ამიტომ მოხსენება მოსკოვის წარმომადგენელმა მესტაკოვმა წაიკითხა. ამ მოხსენებაში დახატული იყო სურათი სკოლის გარეშე განათლებისა ნოვიკოვის დროიდან დაწყებული დღევანდლამდე. ამნაირ განათლებას წინ ათასნაირი დაბრკოლება ეღობებოდა ხოლმე. მაგრამ ხალხის დაუშრეტელმა წყურვილმა განათლებისა ერთის მხრით და ინტელიგენციის დახმარებამ სძლია თითქმის ყველა დაბრკოლებანი. ხალხს სკოლაში არ უშვებენ, იგი ამიერიდან სკოლის გარეთ მიიღებს სწავლა-განათლებას.

კრემლევმა თავის მოხსენებაში ის აზრი გაატარა, რომ სამხატვრო განათლება მკვიდრს ნიადაგზე უნდა დადგეს; ხელოვნება მთელი ხალხის საკუთრებად უნდა გადაიქცეს; მხოლოდ ამისთანა პირობებში შეიძლება მისი უმაღლესი განვითარება. მაგალითებს კრემლევს რომისა და საბერძნეთის ისტორიებიდან მოჰყავს.

გრაციანოვმა წაიკითხა მოხსენება პოპულარულ-სამეცნიერო კურსების მოწყობის შესახებ მუშებისათვის. განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაიმსახურა მეჟუევის მოხსენებამ, რომელშიაც გამოირკვეული იყო ურთიერთობა სახელმწიფოსა და ხალხის გარეშე განათლების მორის. ბევრი ულაპარაკნია მეჟუევს ინგლისსა და ამერიკის შესახებ. სხდომა გათავებულა 6 საათზე.

✦ **რუსის ტერორისტები ლონდონში** (შვეიცარია). ამ რამდენისამე ხნის წინათ გაზეთებში მოთავსებული იყო ცნობა, რომ ლონდონში დაატუსაღეს რუსის ტერორისტებიო. ამ ამბის შესახებ რუსულ გაზეთებში შემდეგი დაწვრილებითი ცნობებია მოთავსებული.

ლონდონში, დავედის ქუჩაზე უცხოვრია ერთს მდიდარ ებრაელს სამუელ სკიროფრევს. 24 დეკემბერს იგი ჩვეულებრივად მუშაობდა თავის კაბინეთში. მასთან სამი, კოხტად ჩაცმული შეიარაღებული ყმაწვილი კაცი შეპარულა, რევოლვერი დაუმიზნებიათ და ხუთი ათასი ფრანკი მოუთხოვიათ. შეშინებულ მილიონერს მიუცია, რაც კი მაშინ ხელთა ჰქონია, და დაჭერებია, დანარჩენსაც ხვალ მოგცემთო. როდესაც მეორე დღეს მილიონერთან მისულა ახალგაზრდა ქალი, ანნა მვარცი, სკირას მეგობრებს პოლიციელებისათვის შეუტყობინებიათ ეს ამბავი და მათაც დაუტუსაღებიათ მვარცი, რომლის სახლშიაც ანარქისტ-კომმუნისტების ბეჭედი აღმოუჩენიათ. ქალის დატუსაღების დროს ერთს ყმაწვილ კაცს, რომელიც თან ახლდა მას, სამინელი წინააღმდეგობა გაუწევია. იმ დღესვე მვარცის სადგომში რამდენიმე კაცი მისულა და პოლიციას ყველა ისინი დაუტუსაღებია. პოლიციას აღმოუჩენია 87 რევოლვერი და სხვა და სხვა იარაღი. აქამდის 20 კაცი დაუტუსაღებიათ, ამათ რიცხვში ორი ქალია. დატუსაღებულთა უმრავლესობა ლონდონის უნივერსიტეტის სტუდენტებად ირიცხება.

უცხოეთი

მაროკკოს ამბები. ჯერ კიდევ დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც მაროკკოში მომხდარ ამბებისაგან გამოწვეული აურ-ზაური მინელდა, და იქ ისევ არეულობა დაიწყო. მაროკკოს სახელმწიფო მმართველობაში ცვლილება მოხდა. ეხლანდელი სულთანი აბდულ აზისი ტახტიდან ჩამოაგდეს და მის ადგილზე სულთანად მულაი-გაფიდი გამოაცხადეს. ევროპის დიპლომატია, რომელიც აქამდის გაჩუმებული იყო და მაროკკოს საქმეების მოწეს-რიგება საფრანგეთსა და ისპანიას მიანდო, ეხლა იძულებული გახდება თვითონ ჩაერიოს ამ საქმეებში. საფრანგეთს ეხლა ორ მთავრობასთანა აქვს საქმე. პირველთან მას ხელშეკრულობა და დაპირებანი აერთებს, მაგრამ ამასთანავე ერთად მეორე შეიძლება მალე ქვეყნის კანონიერ მმართველად გადაიქცეს. საფრანგეთს არას გზით არ შეუძლიან მულაი გაფიდს შეეკრას ხელშეკრულობით, რადგანაც ეს აბდულ-აზისთან შეთანხმების დარღვევა იქნებოდა. მაგრამ თუ საფრანგეთმა აბდულ-აზის დაუჭირა მხარი და იმასთან ერთად იმოქმედა, იგი იძულებული გახდება საფრანგეთის ჯარი ფესში გაგზავნოს და მაროკკოს შინაურ საქმეებში ჩაერიოს. ასეთი ნაბიჯისათვის კი სხვა სახელმწიფოთა თანხმობაც არის საჭირო. საფრანგეთს ვერ შეუძლიან ან ერთი გზა აირჩიოს ან მეორე. საფრანგეთმა აუცილებლად სრული ნეიტრალიტეტი უნდა დაიცვას და თვითონ ხალხს მიანდოს გართულებულ მდგომარეობიდან თავის დაღწევა საშუალებების გამონახვა.

მაგრამ მაროკკოში მომხდარ ამბებს, გაზეთების სიტყვით, მეორე საყურადღებო მხარეც აქვს. ვისაც მაროკკოს საქმეებისთვის თვალ-ყური უდევნებია, იმისთვის ცხადი შეიქნება, რომ აბდულ-აზისის ჩამოგდება ევროპიელების სიძულვილის შედეგად უნდა ჩაითვალოს. არაბებს საშინლათ სძულთ მოსულები; აბდულ-აზისი კი ევროპიელებს კეთილის თვალით უყურებდა. მას უნდოდა ევროპიელთა ძალებით განემტკიცებინა თავისი გავლენა მაროკკოში, მაგრამ ხალხი აუჯანყდა და სულთანად მულაი-გაფიდი გამოაცხადა. მულაი-გაფიდის გამარჯვებას საზოგადოთ ეროვნულ გრძნობის გაღვიძებას აწერენ. არავინ იცის, რითი გათავდება ეს ხანგრძლივი ბრძოლა მაროკკოსი. შესაძლებელია მულაი-გაფიდი დამარცხდეს, მაგრამ ეს მაროკკოს დამშვიდებას სრულიადაც არ მოასწავებს. მიზეზები არეულობისა—ეროვნულ გრძნობის გაღვიძება და უზომო ექსპლოატაცია მაროკკოს მცხოვრებლებისა ევროპიელების მხრით—მაინც დარჩება. ევროპიელებმა თავისი ახალშენები მეწველ ფურად გადააქციეს, სისხლსა სწოვენ მაროკკოსაც, თითქოს ისიც ისეთივე ქვეყანა არის, რანაირიც მათია. მაროკკო, თქმა არ უნდა, ასე ადვილად არ დაცხრება და ენერგიულად განაგრძობს ბრძოლას „განათლებულ“ ევროპიელთა ბარბაროსების წინააღმდეგ.

დემონსტრაციები პრუსიაში. ბერლინისა და პრუსიის სხვა პროვინციალურ ქალაქებში ისევ იმართება დემონსტრაციები. საყოველთაო საარჩევნო შემოღებას ყველგან ერთსულოვნად და შეუდგრად ითხოვენ; ბერლინის გაზეთებში აუარებელი ცნობებია დაბეჭდილი იმ ბრძოლის შესახებ, რომელსაც ეწევა ხალხი საყოველთაო საარჩევნო ბრძოლის შემოღებისათვის. თორმეტ საათზე კოპერნიკის ქუჩაზე ათი ათასამდე ხალხი მოგროვილა; ქუჩაში, ჩვეულებისამებრ, ერთი პოლიციელის მეტი არავინა ყოფილა. 4 გრამ როდესაც ხალხი რიბაკოვის ხიდთან მისულა, იქ პოლიციელთა მთელი ჯგუფი დახვედრია. აქ არავითარი შეტაკება არ მომხდარა. მეორე ხიდთან საქმე ბრძოლამდე მისულა. კაპიტანს ტეფანს უთხოვია ხალხისათვის, დაიშალენითო. სამჯერ გაუმეორა კაპიტანმა ერთი და იგივე; ბოლოს უბრძანა პოლიციელებს, ხმლები იშიშვლეთო. ბევრი დაჭრილა. პროვინციებიდან მიუღიათ დეპეშები, რომ იქაც იმართება დემონსტრაციებიო. კასელში ერთს დღეს 17 კრება გაუმართავთ. ესსენში 8.000 კაცმა გაიარა ქუჩებში, მიტინგები გამართეს და ერთხმად ბიულოვის პოლიტიკის გასაკიცხი რეზოლუცია შეიმუშავეს. ასეთივე მანიფესტაციები გაუმართავთ კელნში, მაინის ფრანკფურტსა და შტუტგარდტში. რა პასუხს გასცემს ბიულოვის მთავრობა ხალხის ამ პროტესტს,—დაუთმობს მას თუ ბრძოლას განაგრძობს,—ჯერ არავინ იცის. ყოველ შემთხვევაში ბიულოვი იძულებული გახდება ხალხის ძლიერ პროტესტებს ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს.

ჩინეთი. საყურადღებო წერილია დაბეჭდილი „რუს“-ში. ამ წერილიდან მკითხველი გებულობს, რომ ჩინეთში გასაოცარი მზადება ყოფილა. ბიუროკრატიას არა სჯერა, რომ შორეულ აღმოსავლეთში ცა ისევ იღრუბლება. მაგრამ საქმის მდგომარეობა კი იმნაირია, რომ ადვილად შესაძლებელია რუსეთის საზარელოთ ერთხელ კიდევ დაიქექოს მეხმა შორეულ აღმოსავლეთში. ჩინეთიდან კორესპონდენტები იუწყებიან, რომ ჩინეთს ევროპიულად გაწვრთნილი ჯარი ბლომად ჰყავს, მხოლოდ ევროპიელებს განზრახ სახელდახელოდ შედგენილ ჯარებს აჩვენებენ ხოლმეო. ჩინეთის შუაგულში ცხოვრება დუღს და გადმოდუღს. მიყრუებულ პროვინციებში ახალ პოლკებს ადგენენ. გერმანიისა და იაპონიის ინსტრუქტორები ენერგიულად ასწავლიან ჩინელთა ჯარის კაცებს ევროპიულსა და რუსულ გაზეთებში დაბეჭდილი ცნობები, რომ ჩინეთს ამ ჟამად 3—4 ევროპიულად გაწვრთნილი პოლკის მეტი არა ჰყავსო, ჩინელების მიერვე განზრახ მოგონილი ჭორია, იწერებიან კორესპონდენტები. ჩინეთს უკვე ეხლავე ორასი ათასი ევროპიულად გაწვრთნილი ჯარი შეუძლიან გამოიყვანოს. მასა აქვს მშვენიერი არტილერია, შორს და ჩქარა მსროლელი ზარბაზნები. ჯარში მშვენიერი დისციპლინაა შემოღებული. ამასთანავე ერთად ჯარის რიცხვი ყოველ კვირა იზრდება. ყველაფერს ამას ზედ ერთვის უკიდურესი სიძულვილი რუსებისადმი ჩინელები ჯარებს აგროვებენ და ჯარის-კაცებში რუსებისადმი სიძულვილსა სთესავენ, თითქოს ეს გაცხარებული მუშაობა მთლად რუსეთის საწინააღმდეგოთ იყოს დაწყებული. რუსებისადმი სიძულვილი ისეთი ძლიერია, რომ ამაზე სულ მიყრუებულ პროვინციებშიაც კი ლაპარაკობენ. რომ ჩინელები მართლა რაღაცისთვისაც ემზადებიან, ეს, სხვათა შორის, შემდეგ გარემოებიდანაცა სჩანს. ჩინელი ვაჭრები ხელ-შეკრულობას ყოველთვის ერთი წლითა ჰკრავენ ხოლმე, 31 დეკემბრამდე. წელს კი თითქმის ყველა ვაჭრებმა მხოლოდ 1 ივნისამდე შეჰკრეს. როდესაც ვაჭრებსა ჰკითხეს, რათა შვრებით ამასაო, მათ უპასუხეს:—ძალიან არეული დროა, ჩვენ ახალ-წელიწადის შემდეგ ბევრს რამეს მოველით და ამიტომ ფრთხილად ვიქცევითო. ასეთს მზადებაში ა ულიდესი სახელმწიფო მთელი ქვეყნისა იაპონელები აქეზებენ ჩინელებს. ვის წინააღმდეგ გაილაშქრებს ეს ზღვა ხალხი,—ამას, უეჭველია, ახლო მომავალი დაგვანახვებს.

წერილი რედაქციის მიმართ

(პასუხად ბ-ნ აჭუას)

9 გიორგობისთვეს დავსტამბე წერილი, რომლითაც უკანასკნელ წინადადებას ვაძლევდი ბ-ნ აჭუას და ვთხოვდი, ანგარიში 10 დღის განმავლობაში მოეცა (იხ. „ისარი“ № 217). მაგრამ ბ-ნმა აჭუამ ერთის თვის შემდეგ 13 ქრისტეშობისთვეს ინება ვითომ პასუხის მოცემა, მაგრამ, უკაცრაოდ პასუხის კი არა, არამედ თვითონ ბ-ნმა აჭუამ მომთხოვა ანგარიში. იგი ბძანებს:

მე მოვალედ ვრაცხ ჩემ თავს, რომ ანგარიში მივცე იმათ, ვისთანაც მოვალედ ვთვლი. თქვენ კი გთხოვთ, მიიღოთ შრომა და შემატყობინოთ, რა უყავით იმ 20 მანეთს, რომელიც მიიღეთ იმ ამხანაგთაგან, ვისაც ებარა მოგროვილი ფული. ან კიდევ იმ ფულს და ღია წერილებს, რომელიც გამოგირთმევიათ კნიაჟნა ნინოსთვის. მე ნებას არ მივცემ ჩემ თავს, დავწამოთ, ვითომ ის ფული მოიხმარეთ თქვენის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. იმედი მაქვს ფულს გადასცემდით იმათ, ვისთვისაც იყო იგი მოგროვილი. მაგრამ ეგრეც რომ იყოს, თქვენ თითონ დამეთანხმებით და შეხვალთ ჩემს მდგომარეობაში, რა ძნელი საქმეა: ანგარიში მე უნდა მივცე, ფულები და ღია წერილებიც კი თქვენ მიიღეთ და დღესაც არ ვიცი, სად დავის მოხმარდა იგი. იმედი მაქვს, ანგარიშის გამოსაქვეყნებლად პირველ მაგალითს თქვენ მაჩვენებთ და ჩქარა მაცნობებთ ამ ფულისა და ღია წერილის შედეგს («ისარი» № 275).

აი თურმე რაში ყოფილა საქმე: ფული მე მიმიღია, ღია წერილები ჩემთან არის და მე კი ვბედავ და უმანკო აჭუას ანგარიშსა ვთხოვ. აბა მოდით და ამის შემდეგ ნუ მეგებრალებათ აჭუა. მოგახსენებთ ანგარიშს: მე, მართალია, მივიღე 20 მან. «იმ ამხანაგობისაგან» ერთი კვირის შემდეგ, როდესაც მე პირველად შეგეკითხეთ და მოვითხოვე ანგარიში (იხ. ისარი № 149), რომელმაც გადმოგვცა როგორც გაჭირვებულ კაცს, რაზედაც მე მაშინვე მივეცი «იმ ამხანაგს» ბარათი. მაგრამ მეტი არ იქნება მოგახსენოთ, თქვენო წმინდა ნაძუსის საყურადღებოდ, რომ ის 20 მან. არ ეკუთვნის არც ღია წერილების ფულს და არც წარმოდგენის, არამედ იგი იყო ჩვენ სასარგებლოდ მოკრებილი ერთ ქველმოქმედ ქალისაგან, რომელსაც «იმ ამხანაგისათვის» გადაეცა ჩვენთან გამოსაგზავნად. მეორე—რაც შეეხება «კნიაჟნა ნინოსაგან» მიღებულ ფულს და ღია წერილებს (რომელიც კარგათ გახსოვთ, მაგრამ განგებ ივიწყებთ), ეს იყო: მე მივიღე ანგარიში და ღია წერილები თქვენი წერილის (იხ. «ისარი» № 153) შემდეგ თქვენთვის გადმოსაცემად. მე რამდენიმე დღის შემდეგ შეგხვდით აბოევის სიმამრის დილიჟენების კანტორაში, მოგახსენეთ ეს ამბავი, რაზედაც თქვენ მიპასუხეთ: რომ მე გადამეცა ეს ყოველივე „იმ ამხანაგისათვის“ (რასაც მე დარწმუნებული ვარ გახსოვთ და უარს არ იტყვით). მეც თქვენის დავალებით მიუტანე «იმ ამხანაგს“, მაგრამ მან მთხოვა, რომ ჩემთან დარჩენილიყო, რაიც ეხლაც ჩემთან ინახება. რომ ესეც და პირველიც ასეა, დაამტკიცებს თვით «ის ამხანაგი». რაც შეეხება „კნიაჟნა ნინოს“ ფულს, იგი მივიღე ეს ექვსი-შვიდი დღეა, რაზედაც უკვე უთხარი „იმ ამხანაგს“ და გამოვართვი ადრესი, რომ მიუტანო სახლში. აი, მთელი ანგარიში ბ-ნო აჭუავ! ესეც ჩემი მაგალითი, მაგრამ თქვენი კი ვგონებ ყონულზედ არის დაწერილი. მაგრამ მე რატომ არ მივხვდი თქვენ დიდებულ ფიქრებს. მე რომ ჭკუა მქონოდა, ხმაც არ უნდა ამომეღო, მე ხომ თვალის-საწვავი მივიღე და სხვა რაღა მინდოდა? ესე არ არის ბ-ნო აჭუავ? მაგრამ ბ-ნი აჭუაც ხომ ჩემსავით უვიცი არ არის: მარიამობისთვეს დაპირებული ანგარიში ბ-ნ აჭუას, ამ მოსაზრებით, დღემდის არ მოუცია. მამ ასეთი არშინითა ზომავთ ყოველ საქმეს, რომელიც თქვენ კი არა, საზოგადოებას ან რომელსამე ჯგუფს შეეხება. მაგრამ რომ იტყვიან «ჩემსას გეტყვი და გულს მოგიკლავო», ასე მოსდის აჭუასაც. იგი გაღმა ლაპარაკებს, რომ გამოღმა ხელთ დარჩეს. არა, ბ-ნო აჭუავ, ეგ ხრიკები თქვენთვის შეინახეთ. ამებებით ფონს ვერ გახვალთ. მე მოვითხოვე და მოვითხოვ კიდევ იმ შემოსავლის ანგარიშს, რომლითაც ჩვენის სახელით საზოგადოებას ჯიბეები დაუქექეთ და ყველას უფლება აქვს ამისთანა ანგარიში მოითხოვოს. მაგრამ თქვენ ანგარიშის მოცემის მაგიერ, ხრიკებს ედებით. ეგ ვერაფერია. ვიცი რაცა გნებავთ, ბ-ნო აჭუავ, ამ ჩემდამი შეკითხვით, გსურთ ბძანოთ, რომ მე. . დაფიქრდით. წინადადებას გაძლევთ, ფრთხილად იყავით. კიდევ გაფრთხილებთ: ცხრაჯერ გაზომეთ და ერთხელ მოსჭერით. მეც მეყო ამ დენი თქვენთან ლაპარაკი. პირდაპირ გეტყვით, რომ თქვენ პატიოსნურად არ იქცევით. ამას როდესაც გნებავთ (თუ არა გჯერათ) დაგიმტკიცებთ და თუ მოისურვებთ სამედიატორო სამართალს, ადვილია! სახამართლოს რეზოლიუცია გაზეთში უნდა იქნას გამოქვეყნებული*).

გადასახლებული

*) ამიერიდან ამ საგანზე ვსპობთ ჩვენს გაზეთში ყოველსავე კამათს. **რედაქცია.**

რედაქტორ-გამომცემელი

ი. ბელიშვილი.

განცხადებანი

გოგონი

ქეთუშა თაყაძე, 8—9 წლისა, ლოყა წითური, მუქ ქერა თმიანი, ჭრელ თვალა, 6 იენვარს დაიკარგა. მპოვნელს ვსთხოვენ მიიყვანონ თაყაძის ბინაზე, გოგოლის ქ. № 53. (2—561—1)

პირველი კერძო სამკურნალო

დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 საათ. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

ე. შ. ჩიქოვანი: $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

ს. ი. ზაზანაშვილი 10—11 ს. სახებით, ქალებისა და ბავშვების.

მ. გ. ბეგლარიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

ბ. მ. შუგინოვი: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

გ. ი. გელაშვილი: 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

ა. ი. კარამელიანცი: 1—$1^1/_2$ ს. შინაგანი და საბავშვო.

ა. ი. ოქერჩინანი: $1^1/_2$—2 საათამ. სახებით და ქალებისა.

გ. ი. გურგენოვი: 1—2 საათ. ქალებისა და სახებით.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ბ. ა. გრიგორიანი: 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(544—წლ.—6)

1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.

საჭიროა

თანამშრომელნი ორივე სქესისა

საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოვ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ ვგზავნით.

პირველი კავკას. ამხანაგობა

მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: **Тифлисъ, Верійскій спускъ д 15 и 5.** (100—71—96)

გამოვიდა და დარიგდა გასასყიდად შილერის თხზულება

ფიესკო

ათი დიალოგი, ავტორის სურათით, თარგმანი ია ეკალაძე-ცინცაძისა.

წიგნი იყიდება: ტფილისში წერა-კითხვის მაღაზიაში (და ზოგიერთა სხვა მაღაზიაშიაც); ბაქოში—რევაზ ფაღლენიშვილთან; გორში—არჩუაძესთან; ქიათურაში—დეკანოზიშვილთან; ქუთაისში—წიგნის მაღაზია „იმერეთ“-ში.

ვთხოვთ ფოთისა და ბათუმის წიგნის მაღაზიებს, მიჰმართონ „იმერეთი“-ს მაღაზიაში კვიცარიძეს. სხვა ადგილებიდან უნდა მიჰმართონ წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიას ან კიროჩნი ქუჩაზედ (№ 11) ს. ბერძნიშვილს ვინც ას ცალს ნაღდად იყიდის, 30% დაეთმობა; კამისიით 20%. თითო წიგნი ღირს 30 კაპეიკად. (0—6.—24)

ფეხსაცმლების სახელოსნო

„იმედი“

(НАДЕЖДА)

მიხეილის ქ. № 51, სახლი კუკუჯანოვისა, ქალების მე-V გიმნაზიის პირდაპირ.

ამით აცხადებს პატივცემულ ქართველ საზოგადოების საყურადღებოთ, რომ მან საუკეთესოდ მოაწყო სახელოსნო, როგორც ხელობის მხრივ, ისე მეკვეთილების კეთილ სინიდისიერათ დამზადებით; სადაც ყველას შეუძლიან შეკვეთა ხრომისა, შევროვისა და სხვა მასალის ფეხსაცმელებისა, როგორც ქალებისა და ვაჟებისათვის ისე ბავშვებისათვისაც. ყველა შეკვეთილ ფეხსაცმელებს სახელოსნო ამზადებს სუფთად და მკვიდრად, ძალიან დაკლებულ და ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასებში.